

8
7-791

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო გივის ასული თოხაძე

კომიკურის ზოგიერთი მხატვრულ-გამომსახველობითი
საშუალება თანამედროვე პროზაში
(ქართული და ამერიკული პროზის მაგალითზე)

10.01.08 - ლიტერატურის თეორია

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1998

განმ. სპ. რ. 23
20 " 09 1998

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიის განყოფილებაში

- სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ. ჭოლოკვა
- ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. თუხარელი
- ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ზ. ჭარხალაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი თ. ბარბაქაძე
- წამყვანი ორგანიზაცია: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1998 წლის "13" "III" საათზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P10.01CNS სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.


- 1603 -

მისამართი: თბილისი 380028, ჭავჭავაძის გამზ. N1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ავტორიფერატი დაიგზავნა 1998 წლის "12" "II" .

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

/თ. კიკაჩიშვილი/



ნაშრომის საერთო დახასიათება

თემის აქტუალობა კლასიკური ლიტერატურისა და ხელოვნების ნიმუშების მიხედვით შევიძლია დავასკვნათ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კომიკურს მსოფლიო კულტურის საგანურში. მას არც თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში დაუკარგავს აქტუალობა, ამიტომაც ლიტერატურისმცოდნეობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ამ მრავალმხრივი ესთეტიკური ფენომენის ნიშანდობლივი მხარეების შესწავლა წარმოადგენს. მათ შორის მხატვრულ ხერხებს მიეკუთვნება უბირატესი მნიშვნელობა, რამდენადაც მათ გარეშე წარმოდგენილია კომიკური სახის შექმნა. ცხადია, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების მეცნიერულ კვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომიკურის არსის შესაცნობად. სწორედ ამ მიზანს ისახავს წინამდებარე ნაშრომი. გამოკვლევებს მეცნიერული სიახლე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომიკური უმნიშვნელოვანესი ესთეტიკური კატეგორიაა. მისი მრავალმხრივი კვლევის მიუხედავად, კომიკურის მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები სრულად ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. სადისერტაციო ნაშრომში განხილულია კომიკურის ზოგიერთი ორიგინალური ხერხი და საშუალება ქართული და ამერიკული პროზის მაგალითზე. რამდენადაც დისერტაციის მოცულობა არ იძლეოდა საშუალებას, ყველა მწერალს შევხებოდით, ავირჩიეთ ამ მხრივ უფრო მეტად ცნობილ ავტორთა თხზულებანი, სადაც მოვიძიეთ სათანადო მასალა. ნაშრომში საგანგებოდ არის გაანალიზებული ისეთი გამომსახველობითი საშუალებების ფუნქციონირების მექანიზმი, რომლებიც ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში დღემდე არ ქცეულა საგანგებო მეცნიერული ყურადღების ობიექტად; ესენია: კომიკური შედარება, კომიკური ანთროპონიმები, პაროდია, კომიკური ალოგიზმის ხერხები.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანი, საკითხი, რომელიც შესწავლილია ნაშრომში, არა მარტო ლიტერატურისმცოდნეობით და ესთეტიკურ მხარეს, არამედ შემოქმედებით ასპექტსაც მოიცავს, რადგან თვით კომიკური, როგორც ესთეტიკური ფენომენი, ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს უკავშირდება, როგორიცაა ლიტერატურული გეარების და *უანრების ცნებები, მათი ურთიერთმიმართება, სტილის, მხატვრული მეტყველების, მხატვრული საშუალებების საკითხი და სხვა.

კომიკური ისეთი ესთეტიკური კატეგორიების გვერდით დგას, როგორიცაა ამაღლებული, მშვენიერი და ტრაგიკული. კომიკურის გამოვლენის გავრცელებულ სახედ თანამედროვე მწერლობაში სატირა ითვლება.

თანამედროვე სატირულ ნაწარმოებებში სრულად აისახება "გასაგებელი, თოჯინური და ავტომატური" სახეები, სადაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ანთროპონიმების (პერსონაჟთა გვარ-სახელების) მხატვრულ ფუნქციას. თანამედროვე სატირულ ნაწარმოებში ულინდება კომიკური მწერლობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მოვლენა-არანორმალურის, "საშინელის", სიცივის ასახავისაკენ სწრაფვა, რომელიც ფანტასტიკურობის ზღვარს აღწევს. უაზრობის, ალოგიზმის თეორიული საფუძვლების კვლევა და კონკრეტულ მხატვრულ ნაწარმოებებში მათი გამოხატვის თავისებურებათა ანალიზმა საშუალება მოგვცა, გამოგვევლინებინა და შევესწავლა "უაზრობის კომიზმის" მხატვრული ასახვის საშუალებები: კომიკური მარცხი, გაბრიყვება, აბსურდამდე დაყვანა, ანტიკლიმაქსი, გევი და გამოერება.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება სადისერტაციო ნაშრომში მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას უმაღლესი სასწავლებლის პრაქტიკაში არა მარტო საღვეტეო კურსის მომზადებისას ლიტერატურის თეორიაში, უახლესი ქართული და საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიაში, არამედ შესაბამისი სემინალური მუშაობის დროსაც, საკურსო და სადიპლომო ნაშრომების დაწერისას და ა.შ.

სამეცნიერო ნაშრომების მეოთხედ საფუძვლად გამოყენებულია ქართველი, რუსი და ამერიკელი ლიტერატურისმცოდნეების: გრ. კიკნაძის, ალ. ლლონტის, ბ. დობორჯინიძის, ალ. ქუთილიას, დ. იოვაშვილის, მ. ბახტინის, ი. ბორევის, ა. ვესელოვსკის, ა. ლუკის, მ. მენდელსონის, ლ. პინსკის, ლ. ფეინბერგის, ა. ეკრნანის, კ. მურჰედის და სხვათა შრომები.

ნაშრომის პარობაცია, სადისერტაციო ნაშრომი განხილულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა

1603